

რადგან უმოავრესად თავს იჩენს მოგების გადასახადის გაანგარიშებისას, მისი რეალურობის დადგენის მიზნით, აუცილებელია, აუდიტორის მიერ განსაკუთრებული ყურადღებით იქნეს შესწავლით.

ამრიგად, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნების შემოწმებისას აუდიტორმა უნდა შეამოწმოს გადაუხდევლი მიწოდება ბასე-ის შესაბამისად, დარიცხვის პრინციპიდან გამომდინარე აისახა დებიტორულ დავალიანებად და შემოსავლად, სწორად არის თუ არა განსაზღვრული საეჭვო მოთხოვნებზე დანახარჯები, საანგარიშებო პერიოდის ბალანსში გამოყოფილად ასახულია თუ არა მოკლევადიანი მოთხოვნები, გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი და გრძელვადიანი მოთხოვნები. რა ზომებს დებულობდა საწამოს ხელმძღვანელობა დებიტორული დავალიანების დროულად ამოღებისათვის და კრედიტორული დავალიანების დაფარვისათვის.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების აუდიტის შესახებ“.
2. აუდიტისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების სახელმძღვანელო, თბილისი 2009წ.
3. ე. ცირამუა „აუდიტი, მეთოდიკა, ტექნიკა“, თბილისი 2009.

## **ნაირა ვირსალაძე**

ეკონომიკის დოქტორი, აკადემიული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების აუდიტის ქუთაისის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

## **საქართველოს მოსახლეობის შრომითი მიზრაცია და ეთნოდემოგრაფიული სურათი**

ს ტ ა ტ ი ს ი ს ა ს ა ს ა ს ა ს ა ს ა

მიგრაცია როული გლობალური დემოგრაფიული პროცესია და ოანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. ის ეფუძნება ადამიანთა უფლებას, თავისუფლად აირჩიონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი, განახორციელონ საზღვარგარეთ საქმიანი, სამოგზაურო, სამკურნალო და სხვა ვიზიტები. მსოფლიო მოსახლეობის გარემიგრაციული ანალიზი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მას ტალღისებური სასიათო აქტებს. პერიოდულად, სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით მოსახლეობის გარე მიგრაციული ნაკადები ხან კლებულობს, ხან მნიშვნელოვნად იმატებს. ყოველწლიურად მიღიონობით ადამიანი იცვლის საცხოვრებელ ადგილს. გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეში, სოფლიდან ქალაქში, ქვეყნის ერთი რაიონიდან მეორეში და ა. შ.

მოსახლეობის გარე მიგრაციამ დიდი როლი შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში. ცალკეულ ეპოქაში მოსახლეობის მიგრაციის მასშტაბები გარკვეულად ზემოქმედება და მსოფლიო მოსახლეობის განსახლების ფორმირებაზე. მიგრაციულმა პროცესებმა

მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროპისა და აზის მოსახლეობის ფორმირებაზე. მოსახლეობის მიგრაციის შედეგად შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ა.შ.

გლობალიზაციის პირობებში მკვეთრად გაიზარდა მიგრაციული ნაკადები განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებული ქვეყნებისაკენ. მიგრაციული პროცესი ძირითადად ეკონომიკური (შრომითი) ხასიათისაა, რაც განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით: მიმღებ ქვეყნებში მუშახელზე არსებული მოთხოვნით (რომელსაც ამ ქვეყნების მოსახლეობა ვერ აკმაყოფილებს) და ემიგრაციების მშობლიურ ქვეყნებში მუშახელის ჭარბი ოდენობით და უმუშევრობის საკმაოდ მაღალი დონით. ადნიშნულიდან გამომდინარე, მუშახელი, რომელიც დაუსაქმებელია, ან რომელსაც დაბალი ანაზღაურება აქვს, ცდილობს წავიდეს იმ ქვეყნებში, სადაც მასზე არის მოთხოვნა და სადაც უკეთესი ანაზღაურების მიღების პერსპექტივაა. მიმღებ ქვეყნებში, ხშირ შემთხვევაში, მეწარმეები უპირატესობას სწორედ ემიგრაცი მუშახელს ანიჭებენ: როგორც წესი, ემიგრაციები მზად არიან შეასრულონ ისეთი სამუშაო, რომლის შესრულებაც ადგილობრივ მუშახელს არ სურს. გარდა ამისა, ისინი თანხმდებიან უფრო დაბალ ანაზღაურებაზეც. მაშასადამე, შრომითი ემიგრაცია აკმაყოფილებს როგორც მიმღებ ქვეყნებს, ასევე ემიგრაციის ქვეყნებს. პირველ შემთხვევაში ისინი იკმაყოფილებენ მოთხოვნას მუშახელზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, ქვეყნები თავისუფლდებიან ჭარბი მუშახელისაგან და იდებენ საკმაოდ მნიშვნელოვან ფულად დახმარებას ემიგრაციებისგან.

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნებს შორის არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა, დემოგრაფიული ზრდის კონტრასტებმა და ეკოლოგიურმა განსხვავებულობამ განაპირობა მიგრაციის ახალი ფორმებისა და სახეების წარმოქმნა, სახელმწიფოთაშორისო მიგრაციული მასშტაბებისა და არეალის გაფართოება. თუ 1985 წელს მსოფლიოში 106 მილიონი მიგრაციი იყო რეგისტრირებული, 1995 წელს მათმა რიცხვმა 125 მილიონი შეადგინა. 1965-2005 წლებში მსოფლიო მიგრაციობრივი რიცხვმა 80 მლნ-დან 190 მლნ-ს მიაღწია, ანუ დაახლოებით 2-ჯერ გაიზარდა. თუმცა, ზუსტი ციფრების დადგენა შეუძლებელია, რადგან მიგრაციობრივი გამოცხადება საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფება.

ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური შედეგებით, მიგრაცია იქცა უმნიშვნელოვანეს მსოფლიო პრობლემად. მეტად მწვავე პრობლემატურ პროცესად ჩამოყალიბდა იგი საქართველოში საბაზო ეკონომიკაზე გადახვდის პირობებში.

როგორია საქართველოს მოსახლეობის გარემიგრაციული პროცესები გაღრმავებული ინტერნაციონალიზაციის და გლობალიზაციის პირობებში?

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოდან მოსახლეობის ინტენსიური გასვლა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო. იმ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული კლების ძირითადი მიზეზი გახლდათ ის, რომ ეროვნული შემოსავლის მოცულობა ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით საბჭოთა კავშირში 30,0%-ით აღემატებოდა საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს. პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებული მრავალმხრივი კრიზისის შედეგად ცხოვრების დონის კიდევ უფრო დაცემამ აიძულა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკური გადარჩენისათვის გამოსავალი საზღვარგარეთ დასაქმებაში ეძღვნა. ამდენად, მოსახლეობის მხრიდან სრული უპერსპექტივობის შველაზე საშინელი რეაქცია გახლდათ საქართველოში მაცხოვრებელთა მრავალათასიანი

არმიის მიერ სამშობლოს დატოვება, რამაც თანდათანობით პერმანენტული ხასიათი მიიღო. 1991-2000 წლებში საქართველოს მიგრაციულმა კლებამ შეადგინა 1082,4 ათასი მცხოვრები, რამაც 1950-2007 წლების საერთო მიგრაციული კლების 71.6 პროცენტი შეადგინა. არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოდან გასულთა რიცხოვნობა დაახლოებით 1.5 მლნ. ადგევს, ამათგან უმრავლესობა შრომითი მიგრაცია.

საქართველოს მოსახლეობის ემიგრაციის პიკი 1992-2000 წლებზე მოდის. თავდაპირველად ემიგრაციის გაქტორი რუსეთზე და თურქეთზე გადიოდა. რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებამ, ხოლო თურქეთში სამუშაო ძალის დაბალმა ფასმა, გამოიწვია მისი თანდათან შეცვლა დასავლეთ ევროპისა და აშშ-სკენ.

5.4 მილიონიანი ქვეყნიდან, მილიონზე მეტი ადამიანის წასვლას, ქვეყნის მიგრაციული პოტენციალი წესით უნდა შეესუსტებინა, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა, ვერ შემცირდა მისი ინტენსივობა, ვერ მიიღო ხელსაყრელი და ლეგალური ფორმა. დღესაც საქართველოდან უცხოეთში წამსვლელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, რაც განპირობებულია ქვეყნაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგრადირებით.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით, საქართველოდან წასულ ემიგრანტთა 92% რეციპიენტ ქვეყნაში არალეგალური სტატუსით იმყოფება, რის გამოც მიგრანტების უმეტესი ნაწილი ვერ ახერხებს საკუთარი კვალიფიკაციის გამოყენებას, მუშაობს არაპროფესიონალური ასრულებას ჯანმრთელობისათვის საზიანო, დამამცირებელ და, ამასთან, დაბალანაზღაურებად სამუშაოს. თავისი პროფესიით შრომით მიგრანტთა მხოლოდ 5%-ია დასაქმებული. საერთოდ კი შრომით მიგრანტებში სჭარბობს ქალები. გამოკითხვის მიხედვით უკან დაბრუნებული მიგრანტების 91%-ს არა თუ ახალი უნარები აქვს შეძენილი, არამედ ძველიც დაკარგული აქვს და დისკვალიფიცირებული არიან.

ადნიშნულიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში შრომითი ემიგრაციის თქმა ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ატენიულურია. საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, თითქმის ყოველ მე-10 ოჯახში ერთი ან რამოდენიმე წევრი იმყოფება ემიგრაციაში. ფინანსური დახმარება, რომელსაც ქართველი ემიგრანტები თავიანთ ოჯახებს უგზავნიან, საქმაოდ სერიოზულ როლს თამაშობს და მათი ოჯახების შემოსავლის მნიშვნლოვან წარმოადგენს. ექსპერტთა შეფასებით, შრომითი მიგრაცია რომ არა, სიდარიბის მაჩვენებელი საქართველოში პერიოდ უფრო მაღალი იქნებოდა. შრომითი მიგრაციის ძირითადი მიზეზი უმეტესად უპეოეს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ცხოვრების სურვილია. შრომითი მიგრანტების დაახლოებით 80% სწორედ ამ მოტივით მიდის ქვეყნიდან.

მართალია, შრომითი მიგრაციის დადებითი მხარე ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენის სტრატეგიაა, რაზედაც მეტყველებს ის ფულადი გზავნილები, რომელსაც შრომითი მიგრანტები თავიანთ ოჯახის წევრებს უგზავნიან, მაგრამ, დადებით მხარესთან ერთად შრომითი მიგრაციას აქვს უამრავი უარყოფითი მხარე: მიგრაციის უარყოფითი სალდოს პირობებში იგი აუარესებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგრადირებას, ქვეყნის შრომის ბაზარს აკლდება მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, შრომითი ემიგრაციის დროს თითქოს მცირდება შიგა ბაზარზე დაუსაქმებელი მოსახლეობის ხვედრითი წილი, მაგრამ მეორე მხრივ, უარესდება შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის ხარისხი.

პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში სტაბდური მიგრაციული კლების გამო დაირ-

დვა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შემცირდა რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი, მოხდა მთლიანი მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება, რაც უარყოფითად აისახა როგორც შობადობის, ისე მოკვდაობის დონეზე (ეს გამოწვეულია იმით, რომ მიგრაციაში ძირითადად ჩართულია 16-49 წლის ასაკის მოსახლეობა, მათი ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში 47.6%-ის ტოლია, ხოლო მიგრანტებში 74.7%-ს აღწევს).

რაც შესახებ საკითხს, ამა თუ იმ ინტენსივობის მიგრაცია რამდენი პროცენტით ზრდის ან ამცირებს მოსახლეობის აღწარმოებას, პასუხის გაცემა შეუძლებელია ერთი მარტივი მიზეზის გამო: არ არსებობს სტატისტიკური ინფორმაცია მოსახლეობის აღწარმოების პროცესების შესახებ მოცემული ტერიტორიის მიგრანტებსა და მუდმივ მოსახლეობას შორის. ამის შედეგია, რომ მოსახლეობის აღწარმოებაზე მიგრაციის გავლენა მიგრაციის თეორიაში უკელაზე ნაკლებადაა შესწავლილი.

ამიტომ სტატისტიკური ინფორმაციის არ არსებობის პირობებში, მოსახლეობის აღწარმოებაზე მიგრაციის გავლენის შესწავლა და შესაბამისი გაანგარიშებების ჩატარება შეიძლება მხოლოდ შერჩევითი სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევების მასალებზე დაყრდნობით. მიგრანტთა რეპროდუქციული ქცევის შესწავლის მიზანია დადგინდეს, თუ როგორ ხდება აღნიშნული ქცევის ტრანსფორმაცია, დროის რა პერიოდში უყალიბდება ჩასახლების ადგილის რეპროდუქციული განწყობა და ქცევა მიგრანტს.

ამრიგად, პოსტსაბჭოთა საქართველოში შექმნილმა არასტაბილურმა მდგომარეობამ, გაჭიანურებულმა ეკონომიკურმა კრიზესმა, გარკვეულმა ობიექტურმა, თუ სუბიექტურმა მიზეზებმა დროულად ვერ უზრუნველყო საჭირო ინვესტიციების მოზიდვა, ეკონომიკის გამოცვლება, მოსახლეობის რაციონალური დასაქმება და მოამზადა ხელსაყრელი ნიადაგი შრომითი რესურსების ქვეყნიდან გადინებისათვის. შედეგად შეიცვალა მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა და მისი ეთნოდემოგრაფიული სურათი, გაუარესდა ქვეყნის სამუშაო ძალის ხარისხი. ამ პრობლემის დაძლევის საფუძველი არის ქვეყნაში სამუშაო ადგილების შექმნა და შრომის ანაზღაურების მოწესრიგება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბიძაშვილი პ. „პოპულარული სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“ თბ., 2008
2. ზაზაძე ნ. საერთაშორისო შრომის ბაზრის ფორმირება გლობალიზაციის პირობებში, თსუ შრომების კრებული, თბ., 2014.
3. ფირცხალავა გ. საქართველოს მოსახლეობა: ეროვნული შემადგენლობა, ოჯახები, მიგრაცია. თბ., 1997.
4. ხმალაძე მ. დემოგრაფია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2009.
5. ჭილაძე ნ. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია. ეპ. მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის აგზორევურატი. თბ., 2006.